დანართი №2

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

დეტალური სფეროს - ისტორია და არქეოლოგია- კლასტერი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - „ისტორია“
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია"

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები
12-13 იანვარი, 2023 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
19 აპრილი, 2023 წელი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 12

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 12

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 26

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 37

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 45

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები Error! Bookmark not defined.

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	231187168
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბონდო კუპატაძე (სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი (სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან დიღმელაშვილი (სსიპ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინა ჩიხლაძე (სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლიანა ზაგაშვილი (შპს-ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო)

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ისტორია History	საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია Modern and Contemporary History of Georgia
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ისტორიის ბაკალავრი Bachelor in History	ისტორიის მაგისტრი Master in History of Georgia
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0222 ისტორია და არქეოლოგია /History and Archaeology	0222 ისტორია და არქეოლოგია /History and Archaeology
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება: N9-04.11.2011; პროგრამას აკრედიტაციის ვადა გასდის 2022 წლის 31 დეკემბერს	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება : N 9 - 02.08.2012; პროგრამას აკრედიტაციის ვადა გასდის 2022 წლის 31 დეკემბერს

[1] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]**

კლასტერში დაჯგუფებული ,,ისტორიის'' საბაკალავრო და ,,ახალი და უახლესი ისტორიის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები წარმოადგენდნენ შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულ პროგრამებს, რაც ასახულია კურიკულუმებში. მათ გააჩნიათ საერთო მახასიათებლები: ეს არის წარსულის ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს შესწავლა და კვლევა. „ისტორიის“ საბაკალავრო პროგრამა აძლევს ფართო ცოდნას სტუდენტებს, ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა კი, სიღრმისეულ ცოდნას.

პროგრამამ მიმდინარე რეაკრედიტაციისათვის განიცადა შემდეგი ცვლილებები:
1. ,,ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები პროგრამაში არსებულ სასწავლო კურსებში, დაიხვეწა სასწავლო კურსები, განახლდა სასწავლო ლიტერატურა და სხვა. აკრედიტაციისთვის სასწავლო პროგრამის მომზადების პროცესში გათვალისწინებულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები.
2. ისტორიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის შესაბამისად ,,ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში შეიცვალა სწავლის შედეგები (დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები). ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტში არსებული სასწავლო კურსი ,,შესავალი ფილოსოფიურ აზროვნებაში'' გადატანილ იქნა თავისუფალ სავალდებულო კომპონენტში, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კურსებს დაემატა სასწავლო კურსები, საფუძვლიანად გადამუშავდა ,,საბაკალავრო ნაშრომი“-ის სილაბუსი და სხვა.
3. „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა ძირეული ცვლილებები. მოხდა სასწავლო კურსების დახვეწა და სასწავლო ლიტერატურის განახლება და სხვა. აკრედიტაციისთვის სასწავლო პროგრამის მომზადების პროცესში გათვალიწინებულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა ჩათვალა მიზანშეწონილად, რომ პროგრამის სახელწოდება განსაზღვრული ყოფილიყო ქრონოლოგიურად - „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო შინაარსისა და კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია განსაზღვრულიყო ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოდან - ,,საქართველოს ისტორიის მაგისტრი“.
4. მოდიფიცირებული ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის'' სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურიკულუმი საფუძვლიანად გადამუშავდა, კარდინალურად შეიცვალა სასწავლო კურსების ნაწილის შინაარსი. შინაარსობრივ ცვლილებებთან ერთად შეიცვალა მათი სახელწოდებები და ასე ჩამოყალიბდა: ,,საქართველო და მსოფლიო XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე''; ,,საქართველო და მსოფლიოს ქვეყნები XVII- XVIII სს-ში (1640-1789)'' და ,,საქართველო და მსოფლიოს ქვეყნები XVIII- XX სს-ში (1789-1914)“. პროგრამის მოდიფიცირების პროცესში დაიხვეწა, ცვლილებები განიცადა და კვლევითი კომპონენტების გაძლიერება მოხდა შემდეგ სასწავლო კურსებში: „საქართველო საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში (1921-1991 წწ.)“, „საქართველო საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ“, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები საქართველოში 1921-1991 წწ.“, ,,საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები საქართველოში

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში (1991-2003 წლები)“, „ტერორიზმის ისტორია“ და სხვა.

მოდიფიცირებული ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაში შემავალი ძირითადი, სავალდებულო და არჩევითი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები სრულად არიან ორიენტირებული სიღრმისეული ცოდნის მიცემაზე. ისინი ,,ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული, ფართო ცოდნის მიცემაზე ორიენტირებული კურსების შემდგომი განვითარებაა. შესაბამისად, ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის და ,,ისტორიის“ საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმები წარმოადგენენ ერთ კლასტერს. კლასტერში შემავალი ,,ისტორიის'' საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტიანია. კლასტერში შემავალი „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ პროგრამა კი 120 კრედიტიანი.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 12-13 იანვარს. ვიზიტამდე 2 დღით ადრე შედგა ექსპერტთა წინასწარი შეხვედრა ონლაინ. შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა ურთიერთს გაუზიარეს სააკრედიტაციო კლასტერული პროგრამის შესახებ წინასწარი მიგნებები და შეხედულებები, მომზადდა ჯგუფური ინტერნეტ-სასაუბრო, სადაც განთავსდა კითხვები და თვალსაზრისები. ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამების ხელმძღვანელებს. დაათვალიერეს უნივერსიტეტის სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტების შეხვდნენ და გაესაუბრნენ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მოქმედ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და სტაჟირების განმახორციელებლებს, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს. მთლიანობაში ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და კოლეგიალურ ატმოსფეროში.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1 - პროგრამა 1 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან

პროგრამა 2 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან

სტანდარტი 2 - პროგრამა 1 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან

პროგრამა 2 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან

სტანდარტი 3 - პროგრამა 1 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან

პროგრამა 2 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან

სტანდარტი 4 - პროგრამა 1 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან

პროგრამა 2 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან

სტანდარტი 5 - პროგრამა 1 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან

პროგრამა 2 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია აკადემიური და ადმინისტრაციული გუნდის ჩართულობით დაზუსტდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. კერძოდ კი, პროგრამის სასწავლო გეგმის ლოგიკური ჯაჭვის გათვალისწინებით გადაიხედოს სწავლის შედეგებზე გამსვლელი სასწავლო კურსები დონეების მითითებით და განისაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევის ადეკვატური სამიზნე ნიშნულები.
- გაძლიერდეს უცხო ენის სწავლება, რაც არადამაკმაყოფილებლად არის შეფასებული თავად სტუდენტების და პოტენციური დამსაქმებლების მიერ.
- გაიზარდოს დაწესებულებაში საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობა.
- რეკომენდებულია, ამაღლდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის დონე პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების საკითხებთან დაკავშირებით და გაიზარდოს მათი ჩართულობის დონე ზემოაღნიშნულ პროცესებში.
- რეკომენდებულია, ერთი მხრივ, გაიზარდოს პროგრამების ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის დონე შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელების, ისევე როგორს მიღებული შედეგების გაანალიზების პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, პროგრამების შეფასებისა და მონტორინგის შედეგები გაზიარებული იქნას პროგრამის განმახორციელებლ მთლიან გუნდთან.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები და მოხდეს მათი შინაარსობრივი განახლება-მოდიფიცირება.

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

- სასწავლო კურსებში: „ქართული ეთნოლოგია“ და „კახეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები“, „ქართული დიპლომატიის ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნემდე“ სასწავლო კურსის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაშია მოსაყვანი კურსების მისაღწევ შედეგებთან. კახეთის ისტორიული ძეგლების სასწავლო კურსის ძირითად ლიტერატურაში ჩაემატოს შემდეგი წიგნები: ვ. ბერიძის ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ორ ტომად; პ. ზაქარაიას ქართული ციხე-სიმაგრეების ისტორია უძველესიდან - მე-18 საუკუნის ბოლომდე; ლ. ჭილაშვილის კახეთის კახეთის ქალაქები; ლ. ჭილაშვილის ქალაქები ფეოდალურ საქართველოში; გ. ჩუბინაშვილის კახეთის არქიტექტურა.

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა).

- დასარეგულირებელია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კომპონენტები. კერძოდ, ზედმეტად მაღალია ნაშრომის ხელმძღვანელის წილი - 100 ქულიდან 40 ქულა, რაც უნდა შეიცვალოს ნაშრომის შეფასების მეტი ობიექტურობისათვის.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სწავლების პროცესში ელექტრონული და ციფრული მეთოდების გამოყენების გაზრდა.
- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა გუნდმა დეტალურად შეისწავლოს და განხილოს თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ასევე განხორციელდეს სიღრმისეული მიზნობრივი კვლევები, რათა

დადგინდეს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებებში დაფიქსირებული მაღალი მაჩვენებლების გამომწვევი მიზეზები.

- სასურველია, თვითშეფასების ანგარიში წარმოადგენდეს ანალიზურ დოკუმენტს, სადაც დასაბუთებული იქნება პროგრამების კლასტერში გაერთიანების საჭიროება, მათ შორის არსებული ლოგიკური ბმა და ამასთან, კრიტიკულად იქნება შეფასებული პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, დადგენილი იქნება კვლევის შედეგებით იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეები.
- სასურველი საბიბლიოთეკო სივრცის ადაპტირდება შშმ პირებისათვის, რადგან აღნიშნული თითოეულ სტუდენტს, მათი ფიზიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით მისცემს სრულფასოვანი სწავლის შესაძლებლობას.
- სასურველია, დარგობრივი დამსაქმებლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში.

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

- სასურველია, გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში პრაქტიკისა და სტიპენდია/ჯილდო/წახალისების აქტივობებისთვის გამოყოფილი თანხები და მოხდეს მათი გაზრდა.

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა).

- გასაახლებელი და დასარეგულირებელია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა სავალდებულო და არჩევითი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებში.
- სასურველია, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის'' სამაგისტრო პროგრამის გარკვეული კურსების სილაბუსის შინაარსში მეტად აისახოს საქართველოს ადგილი და როლი იმ პერიოდის მსოფლიო ისტორიის კონტექსტში.
- სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სავალდებულო და არჩევითი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების დიდი ნაწილი წარმოდგენილი იყოს კვლევით კომპონენტზე დამყარებული ისეთი სასწავლო კურსებით, რომლებშიც მოაზრებულია რეგიონის სპეციფიკა და სტუდენტების სამომავლო ჩართულობა სამეცნიერო კვლევებში.
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში სავალდებულო მოთხოვნად უნდა ფიქსირდებოდეს: ნაშრომის მიზანი, სიახლე, წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა.
- სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის შერჩევისას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სასურველია მეტ აქცენტს ახდენდეს რეგიონის ისტორიაზე, ამგვარად სამაგისტრო ნაშრომი მეტად ორიგინალური და კვლევითი კომპონენტის შემცველი იქნებოდა.
- სასურველია, დაზუსტდეს სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი და დეტალურად გაიწეროს ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტისთვის (სტიპენდიები, წიგნადი, ელექტრონული და საბიბლიოთეკო ფონდების განახლება) გამოყოფილი ფინანსური რესურსები.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

- დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც გაზიარებულია რეკომენდაციათა ერთი ნაწილი. კერძოდ, უნივერსიტეტი დაეთანხმა ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციას საგანმანათლებლო პროგრამებზე უცხო ენის სწავლების გაძლიერების შესახებ, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის გააქტიურების შესახებ, შიდა მონიტორინგის კითხვარების მოდიფიკაცია-განახლების შესახებ. უნივერსიტეტმა არ გაიზიარა შეთავაზებული რეკომენდაციები კონკრეტულ სასწავლო კურსებში არსებული ხარვეზების, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დაზუსტების, სწავლის შედეგების მექანიზმების დაზუსტების შესახებ.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების	კლასტერული

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

მექანიზმი	
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული	კლასტერული

შეფასება	

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალი ,,ისტორიის“ საბაკალავრო და ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები უთიერთკავშირშია ერთმანეთთან და წარმოადგენს საბაკალავრო დონიდან სამაგისტრო დონემდე სწავლების შინაარსობრივი და მეთოდოლოგიურ თვალსაზრისით ლოგიკურ თანხვედრას და განვითარებას. კლასტერში შემავალი ,,ისტორიის“ საბაკალავრო და ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები შეესაბამება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც რეგიონის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის მისიას, მათგან გამომდინარე მიზნებს და სტრატეგიას. პროგრამები ეხმიანება ქვეყნის წინაშე მდგომ გამოწვევებს, განავითაროს ისტორიის დარგი და ხელი შეუწყოს კვალიფიციური კადრის მომზადებას აღნიშნულ დარგში საქმიანობის წარმატებულად წარმართვისათვის. უნივერსიტეტსა და რეგიონის ორგანიზაციებს შორის დადებული მემორანდუმები ადასტურებს ადგილობრივ შრომის ბაზარზე თესაუ-ს კურსდამთავრებულის, როგორც ფართო კვალიფიკაციის ისტორიკოსის მოთხოვნადობას, ხოლო მაგისტრის სტატუსის მქონე საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტის ჩართულობა ქ. თელავის და რეგიონის სამუზეუმო-საარქივო ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

პროგრამის მიზანია შრომის ბაზარს მიაწოდოს ისტორიის ძირითადი მიმართულებებისა და ცალკეული დარგების შესახებ ფართო თეორიული ცოდნით და შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობისა და კვლევის წარმოების ბაზისური უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, ისტორიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტული კურსდამთავრებული და

შეუქმნას მყარი საფუძველი უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის აკადემიური პროგრამების დაუფლებისათვის.
პროგრამის მიზნები გასაგებადაა ჩამოყალიბებული, არსებითად რეალისტური და მიღწევადია. ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. პროგრამა მიზნები მორგებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, თუმცა მწირად ითვალისწინებს საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს. ამ პრობლემის გადასალახად კი სასურველია გაძლიერდეს უცხო ენის სწავლება. პროგრამის შემმუშავებელ და პროგრამაში ჩართულ პერსონალს აქვს სამომავლოდ პროგრამის გაუმჯობესების და განვითარების ამბიცია,აგრეთვე ისტორიის საბაკალავრო პროგრამის განგრძობითობის გამრავალფეროვნება არქეოლოგიის ან რეგიონმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მომზადებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

სამაგისტრო პროგრამის მიზანია შრომის ბაზრისათვის მაღალი კვალიფიკაციის კადრის მომზადება, რომელსაც ექნება საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში ღრმა და სისტემური ცოდნა, შესაბამისი უნარები, კონკურენტუნარიანი იქნება დასაქმების ბაზარზე. აგრეთვე, პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა შეძლონ: კვლევის მეთოდების გამოყენებით საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხების კრიტიკული ანალიზი; განსაზღვრონ ახალი და უახლესი ისტორიის მიმდინარე პროცესების ზეგავლენა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემურ საკითხებზე და ჩამოაყალიბონ დასაბუთებული დასკვნები; პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით განახორციელონ კვლევები, დასახონ საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემური საკითხების გადაჭრის ახალი, ორიგინალური გზები და ჩამოაყალიბონ არგუმენტირებული დასკვნები. პროგრამის მიზნები გასაგებადაა ჩამოყალიბებული, არსებითად რეალისტური და მიღწევადია. ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. პროგრამა მიზნები მორგებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ამასთან ითვალისწინებს საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს, იკვეთება პროგრამის შემმუშავებელი და პროგრამაში ჩართული პერსონალის მოტივაცია პროგრამის გაუმჯობესებასა და განვითარებისკენ. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია, გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია, მიზნები, სტრატეგია www.tesau.edu.ge;
- უნივერსიტეტის, ფაკულტეტის, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული

რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება [6]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

[6] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალი ,,ისტორიის" საბაკალავრო და ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები მოწმობს ლოგიკურ გადასვლას და განვითარებას სწავლების ქვედა საფეხურიდან - საბაკალავრო დონიდან, სწავლების ზედა საფეხურზე - სამაგისტრო დონემდე.

კლასტერში შემავალი ,,ისტორიის" საბაკალავრო და ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შედეგები ჩამოყალიბებულია „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ბოლო ცვლილებების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, დეტალური სფეროს აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; სწავლის შედეგები ადეკვატურია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართულია თესაუ-ს აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, სტაჟიორ/დამსაქმებლები. კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები თანმიმდევრულია და შეესაბამება შესაბამის დონეს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას და უნარებს; არის გაზომვადი და მიღწევადი; შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; ეყრდნობა დარგობრივ მახასიათებლებს; იძლევა სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას; შეესაბამება სწავლის სფეროს სპეციფიკას; პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება ხდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ და გათვალისწინებულია დამსაქმებლის და სტუდენტთა ინტერესები; სწავლის შედეგები შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია", მაგისტრატურა)

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას და უნარებს; არის გაზომვადი და მიღწევადი; შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; ეყრდნობა დარგობრივ მახასიათებლებს; იძლევა სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას; შეესაბამება სწავლის სფეროს სპეციფიკას; პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება ხდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ და გათვალისწინებულია დამსაქმებლის და სტუდენტთა ინტერესები; სწავლის შედეგები შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები;
- კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაცია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. ამავე მიზნით, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური რუკები, რომლებიც აჩვენებს წარმოდგენილი პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთშესაბამისობის ანალიზს, კურიკულუმებში შემავალი სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობას და სწავლის შედეგების მიღწევის დონეს. ასევე წარმოდგენილი, სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასების გეგმები. ხოლო, რაც შეეხება სწავლის შედეგების არაპირდაპირ შეფასებას, ამ მიზნით, ორივე პროგრამისთვის განხორციელებულია მიზნობრივი გამოკითხვები სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მონაწილეობით.

აღსანიშნავია, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები საჭიროებენ გარკვეული ტიპის მოდიფიცირებას და დაზუსტებას პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული გუნდის ჩართულობით.

აღსანიშნავია, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები საჭიროებენ გარკვეული ტიპის მოდიფიცირებას და დაზუსტებას პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული გუნდის ჩართულობით. კერძოდ კი, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებიდან, კურიკულუმის რუკას შესაძლოა გარკვეული მოდიფიცირება ჭირდებოდეს ორივე პროგრამის შემთხვევაში.

სამაგისტრო პროგრამის სააკრედიტაციო დანართში წარმოდგენილია 2 ტიპის კურიკულუმის რუკა, რომელთაგანაც ერთი აზუსტებს სწავლის შედეგის მიღწევის დონეს (1-გაცნობა, 2-გაღრმავება, 3-განმტკიცება). მოცემულ რუკებს შორის იკითხება შინაარსობრივი შეუსაბამობა. მაგ., დანართი 2-ის რუკის მიხედვით კურსი „ისტორიის ფილოსოფია“ შეესაბამება 1-8 შედეგებს, ხოლო დანართი 3-ის მიხედვით ამ კურსით მიიღწევა ყველა სწავლის შედეგი გაღრმავების დონეზე. ამასთან, არც ერთ რუკაში არ ფიქსირდება

სავალდებულო სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდების“ სწავლის შედეგებთან მიმართების საკითხი. ვფიქრობთ, კველვის მეთოდები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სასწავლო კურსს პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად, შესაბამისად, ის უნდა აისახოს კურიკულუმის რუკაში როგორც შეფასებისთვის სამიზნე კურსი. განსაკუთრებით იმის გათვალისიწნებით, რომ პროგრამის სწავლის შედეგები „2.2 გეგმავს და ახორციელებს კვლევას საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში დარგის შესაბამისი მეთოდებისა და დადგენილი აკადემიური სტანდარტების გამოყენებით“ და „2.3 წარმოადგენს კვლევის შედეგებს წერილობითი და ზეპირი ფორმით, როგორც პროფესიული, ისე ფართო საზოგადოების წინაშე“ უშუალოდ ყურადღებას ამახვილებს კვლევის კომპეტენციის განვითარებაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშმნოს, რომ პროგრამებისთვის დადგენილია სწავლის შედეეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულებიც. თუმცაღა, გადასახედია თავად სამიზნე ნიშნულების შინაარსი და მათი შემუშავების მეთოდოლოგია. სახელდობრ, სამიზნე ნიშნულებში ვხვდებით ისეთ ჩანაწერებს როგორიცაა:

საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში: „პროგრამის კურსდამთავრებულების არანაკლებ 50% მონაწილეობს სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო აქტივობებში“; „კურსდამთავრებულების არანაკლებ 30% მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო სასწავლო პროექტებში/აქტივობებში“, „კურსდამთავრებულების არანაკლებ 70 %-ს შესაბამის სასწავლო კურსებშის შედეგების დაძლევაში აქვს მაღალი შეფასებები (A, B, C)“, „კურსდამთავრებულების საბაკალავრო ნაშრომების თემატიკის 90% ორიენტირებულია შესაბამისი შედეგის პრობლემატიკაზე და მათში აქტუალური საკითხების გამოკვეთაზე. შედეგი მიღწეულია 95 %-ში“;

სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში: „პროგრამის კურსდამთავრებულების არანაკლებ 70 % მონაწილეობს სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო/კვლევით აქტივობებში“, „კურსდამთავრებულების არანაკლებ 90 %-ის სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის 95% ორიენტირებულია საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის აქტუალურ პრობლემატიკაზე და ინდივიდუალური კვლევის შედეგად შესაბამისი დასკვნების გაკეთებაზე“, „კურსდამთავრებულების არანაკლებ 60% ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით, სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობისას დამოუკიდებლად მოიძიებს საჭირო რესურსებს (ისტორიულ წყაროებს, საარქივო მასალებს, სამეცნიერო შრომებს უცხოენოვან კვლევებს და სხვ.) და პარტნიორებს გრძელვადიანი თანამშრომლობის პერსპექტივით.“

მნიშვნელოვანია, სამიზნე ნიშნულები ნათლად ასახავდეს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს. იმისათვის, რომ დადგინდეს სამიზნე ნიშნულები, ჯერ მიზანშეწონილია განისაზღვროს თუ როგორ შეფასდება სწავლის შედეგები (დეტალურად იხ. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო“, გვ. 10). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მექანიზმი დაზუსტდეს და დეტალურად გაიწეროს პროგრამის კურიკულუმის ლოგიკური ჯაჭვის გათვალისწინებით, თუ რომელი სავალდებულო სასწავლო კურსით და რა დონეზე მიიღწევა ესა თუ ის სწავლის შედეგი, განისაზღვროს ამ კურსებიდან შესაბამისი სამიზნე აქტივობა/შეფასების ფორმა და დაზუსტდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასება;

- ორივე პროგრამის კურიკულუმის რუკები
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, შეფასება და ანალიზი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: რეკომედებულია აკადემიური და ადმინისტრაციული გუნდის ჩართულობით დაზუსტდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. კერძოდ კი, პროგრამის სასწავლო გეგმის ლოგიკური ჯაჭვის გათვალისწინებით გადაიხედოს სწავლის შედეგებზე გამსვლელი სასწავლო კურსები დონეების მითითებით და განისაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევის ადეკვატური სამიზნე ნიშნულები.

კლასტერის საერთო რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალი ,,ისტორიის“ საბაკალავრო და ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები წარმოადგენს სტრუქტურულად და შინაარსობრივად მეტწილად თანმიმდევრულ და ლოგიკურ პროგრამებს. ,,ისტორიის“

საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტიანია, ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტიანი. სტუდენტებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან, სტაჟირების ობიექტების წარმომადგენლებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მოცემულ პროგრამებში არასაკმარისია უცხო ენის სწავლების მოცულობა. ბაკალავრიატში მას ეთმობა 4 სემესტრი, ხოლო მაგისტრატურაში 2 სემესტრი. სტუდენტთა მოთხოვნა და სურვილი უცხო ენის სწავლების გაძლიერების მიმართულებით ყურადსაღებია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და პროგრამის ხელმძღვანელობის მხრიდან. ვფიქრობთ, შესაძლებელია საკითხის გადაჭრის 2 ფორმა: სწავლების პერიოდის გაზრდა - ბაკალავრიატში 6, ხოლო მაგისტრატურაში 4 სემესტრამდე, რაც გამოიწვევს სასწავლო კრედიტების გადაჯგუფებას. ან სწავლების მეთოდური კომპონენტი გაძლიერდეს მაგისტრატურაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

კლასტერში შემავალი ,,ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტი შემდეგნაირად არის გადანაწილებული: ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი – 135 კრედიტი (ძირითად სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 120 კრედიტი, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 15 კრედიტი). ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტში გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი). საბაკალავრო პროგრამის 105 კრედიტი ეთმობა თავისუფალი კომპონენტს, რომელიც შემდეგნაირად არის განაწილებული: თავისუფალი (სავალდებულო) კომპონენტი - 35 კრედიტი; თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტი - 10 კრედიტი; დამატებით პროგრამა (minor) ან თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია, მაგისტრატურა)

კლასტერში შემავალი ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 120 კრედიტი განაწილებულია ამგვარად: 80 კრედიტი - სასწავლო კომპონენტი, 10 კრედიტი - პრაქტიკა, 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და საჯარო დაცვა. პროგრამა შედგება ძირითად სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისაგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის რუკა;
- კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გაძლიერდეს უცხო ენის სწავლება, რაც არადამაკმაყოფილებლად არის შეფასებული თავად სტუდენტების და პოტენციური დამსაქმებლების მიერ.

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

(არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)
რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევები:

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალი ,,ისტორიის“ საბაკალავრო და ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები მომზადდა სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ინიციატივით. ისინი წარმოადგენს უკვე არსებული პროგრამების, სასწავლო კურსების განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია ისტორიის ძირითადი მიმართულებებისა და ცალკეული დარგების ფართო თეორიულ ცოდნაზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა არის კურსები, რომლებიც მოითხოვს კორექტირებას. მაგალითად: 1. სასწავლო კურსის „ქართული დიპლომატიის ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნემდე“ შედეგების ერთ-ერთ პუნქტად გატანილია ცალკეულ ისტორიულ ეპოქებში სხვადასხვა ქვეყნებისა და ერების განსხვავებული ღირებულებების, იდეების, შეხედულებებისა და კულტურის, როგორც მსოფლიო ფასეულობათა ნაწილის პატივისცემა. აღნიშნული შედეგზე ეს სალექციო კურსი თავისი თემატიკიდან გამომდინარე ვერ გავა, ამიტომ ეს სასწავლო შედეგი გადასახედია. 2. სასწავლო კურსის „კახეთის ისტორიული ძეგლები“-ს შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად შეუსაბამოა კურსის მისაღწევ შედეგებთან: შედეგების ერთ-ერთი კომპონენტის მიხედვით სტუდენტი უნდა ახორციელებდეს ისტორიის მომიჯნავე/დამხმარე დისციპლინების მნიშვნელობის შეფასებას და ადარებდეს ერთმანეთს კახეთის და საქართველოს სხვა, ასევე მსოფლიოს ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. ასევე განიხილავს კახეთის ისტორიულ ძეგლებს მსოფლიო ხუროთმოძღვრების მიღწევების კონტექსტში. სილაბუსის შინაარსით ეს ძნელა მიღწევადია, რადგან მასში არ არის გათვალისწინებული ლექციები ქართული არქიტექტურის ძირითადი მახასიათებლების და მათ ფონზე კახური არქიტექტურის მახასიათებლების შესახებ, რითიც სტუდენტმა უნდა იმსჯელოს კახეთის ისტორიული ძეგლების სხვა ძეგლებთან კავშირსა თუ განსხვავებაზე. ასევე ლექციებში ყურადღება გამახვილებულია ზოგჯერ არა საეტაპო თუ ისეთ ძეგლებზე, რომლითაც სწორედ ეს განსხვავება თუ მსგავსება იქნება სტუდენტისთვის აღსაქმელი (მაგ. ოზაანის ამაღლება, ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, უჯარმა, კვეტერა და სხვ.) არამედ მეორეხარისხოვან ძეგლებზე (მაგ. ბახტრიონის ციხე, ფშაველის ციხე, ბოდბის მონასტერი და სხვ.), რომელთა შესწავლითაც სასწავლო კურსი კურსის სასწავლო შედეგებზე ვერ გავა.

სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მაგ.: 1. კახეთის ისტორიული ძეგლების სასწავლო კურსში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა აუცილებლად მოითხოვს ჩანაცვლებას. სახელმძღვანელო ლიტერატურაში არ არის მითითებული ისეთი უმთავრესი წიგნები, როგორიცაა ვ. ბერიძის ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ორ ტომად; პ. ზაქარაიას ქართული ციხე-სიმაგრეების ისტორია უძველესიდან - მე-18 საუკუნის ბოლომდე; ლ. ჭილაშვილის კახეთის კახეთის

ქალაქები; ლ. ჭილაშვილის ქალაქები ფეოდალურ საქართველოში; გ. ჩუბინაშვილის კახეთის არქიტექტურა. ეს გახლავთ წიგნები, რომელთაც ხანდაზმულობის ასაკი არ გააჩნიათ და არც ერთი არაა საბჭოთა იდეოლოგიით დატვირთული, ანუ რის გამოც ისინი ვერ ჩაჯდება ძირითად ლიტერატურაში. პ. ზაქარაიას ,,ქართული ციხე-სიმაგრეების ისტორია უძველესიდან - მე-18 საუკუნის ბოლომდე'' გახლავთ ერთადერთი წიგნი დღემდე, რომელშიც თავმოყრილია ქართული სათავდაცვო ნაგებობები და საქალაქო დასახლებები და ისინი შესწავლილი და დაჯგუფებულია ტიპოლოგიურად და ეპოქალურად. ლ. ჭილაშვილის „კახეთის ქალაქები“ -ში ძირითადი ნაწილი უჭირავს გრემის ნაქალაქარის არქიტექტურას. ლ. ჭილაშვილის და პ. ზაქარაიას შემდეგ გრემის არქიტექტურაზე ამდენი არ დაწერილა და ყველა შემდგომი პერიოდის აღწერები თუ ნაშრომები, რომელიც ეხება გრემს, ამ ორი ავტორის ფუნდამენტურ კვლევას ეფუძნება. შესაბამისად, ეს ავტორები ვერც მოძველებული იქნება და ვერც საბჭოთა პერიოდის მოთხოვნებით გაჯერებული. იგივე ითქმის ლ. ჭილაშვილის ,,ქალაქები ფეოდალურ საქართველოში'', რომლიდანაც მათ ძირითადად უნდა იხელმძღვანელონ უჯარმის და ჭერემის ნაქალაქარების შესწავლისას. ამ წიგნში თავმოყრილი ინფორმაცია გახლავთ იქამდე უკვე განხორციელებული კვლევების შეჯამება და ამის შემდგომ ახალი აღარაფერი დაწერილა. გ. ჩუბინაშვილის „კახეთის არქიტექტურა“, რომელშიც განხილული ძეგლებიდან უმეტესობა სხვაგან არსად შესწავლილა, და დანარჩენი რაც შესწავლილა, ისევ გ. ჩუბინაშვილზე დაყრდნობით. გ. ჩუბინაშვილის აღნიშნულ წიგნში არის რიგი ძეგლები, რომელთა ასაკი შეიცვალა, თუმცა, მხატვრულ-სტილისტური, არქიტექტურული და ტიპოლოგიური მახასიათებლები, რაც გ. ჩუბინაშვილს აქვს ამ წიგნში უცვლელი დარჩა. ამიტომ, თუ უნივერსიტეტს სურს მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულები ყავდეს კახეთის ისტორიული ძეგლების მიმართულებით, ჩვენს მიერ დასახელებული წიგნების გარეშე ამას ვერაფრით მიაღწევს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

კლასტერში შემავალი ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში მოცემული ინფორმაციით. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის აქტუალურ საკითხებზე, საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში ღრმა და სისტემურ ცოდნაზე, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასურველია, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის'' სამაგისტრო პროგრამის გარკვეული კურსების სილაბუსის შინაარსში მეტად აისახოს საქართველოს ადგილი და როლი იმ პერიოდის მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. ეს კურსებია: „საქართველო და ევროპისა და ამერიკის ქვეყნები 1640-1789 წლებში“, „საქართველო და ევროპისა და ამერიკის ქვეყნები 1789-1914 წლებში“, „საქართველო და მსოფლიო XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე“. სასურველია, „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“ სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სავალდებულო და არჩევითი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების დიდი ნაწილი წარმოდგენილი იყოს კვლევით კომპონენტზე დამყარებული ისეთი სასწავლო კურსებით, რომლებშიც მოაზრებულია რეგიონის სპეციფიკა და სტუდენტების სამომავლო ჩართულობა სამეცნიერო კვლევებში.

გასაახლებელია ძირითადი ლიტერატურა, ძირითადი სავალდებულო და არჩევითი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებში: ,,საქართველო საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში (1921-1991 წ.წ.)'', ,,საქართველო საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ'', ,,ქართული ეროვნული ისტორიოგრაფია XIX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში'', ,,საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წ.წ.)'', ,,საქართველო რუსეთის იმპერიაში (1801-1917 წ.წ.)''.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები თანდართული სილაბუსებით;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის პროგრამების სტრუქტურა;
- ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:
სასწავლო კურსებში: „ქართული ეთნოლოგია“ და „კახეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები“, „ქართული დიპლომატიის ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნემდე“ სასწავლო კურსის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაშია მოსაყვანი კურსების მისაღწევ შედეგებთან.

კახეთის ისტორიული ძეგლების სასწავლო კურსის ძირითად ლიტერატურაში ჩაემატოს შემდეგი წიგნები: ვ. ბერიძის ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ორ ტომად; პ. ზაქარაიას ქართული ციხე-სიმაგრეების ისტორია უძველესიდან - მე-18 საუკუნის ბოლომდე; ლ. ჭილაშვილის კახეთის კახეთის ქალაქები; ლ. ჭილაშვილის ქალაქები ფეოდალურ საქართველოში; გ. ჩუბინაშვილის კახეთის არქიტექტურა.

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა).

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

გასაახლებელი და დასარეგულირებელია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა სავალდებულო და არჩევითი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებში.

სასურველია, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის'' სამაგისტრო პროგრამის გარკვეული კურსების სილაბუსის შინაარსში მეტად აისახოს საქართველოს ადგილი და როლი იმ პერიოდის მსოფლიო ისტორიის კონტექსტში.

სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სავალდებულო და არჩევითი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების დიდი ნაწილი წარმოდგენილი იყოს კვლევით კომპონენტზე დამყარებული ისეთი სასწავლო კურსებით, რომლებშიც მოაზრებულია რეგიონის სპეციფიკა და სტუდენტების სამომავლო ჩართულობა სამეცნიერო კვლევებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია", მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია", მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალი ,,ისტორიის“ საბაკალავრო და ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში დაშვების წინაპირობები მოიცავს გამჭვირვალე, სამართლიან, საჯარო და ხელმისაწვდომ წინაპირობებს და პროცედურებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

თესაუ-ში კლასტერში შემავალ ,,ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.

„ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შეუძლია ჩარიცხვა საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმატებით ჩააბარებს საქართველოს ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ გამოცდებს. პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

სტუდენტი ვალდებულია გააფორმოს უნივერსიტეტთან ხელშეკრულება, გაიაროს აკადემიური და ფინანსური რეგისტრაცია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

თესაუ-ში კლასტერში შემავალ ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარება შეუძლია არანაკლებ ბაკალავრის დამადასტურებელი დიპლომის მქონე ან მასთან გათანაბრებულ პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული გამოცდის (მინიმალური ზღვარი - 51 ქულა) და უცხო ენა B2 დონეზე გამოცდის (მინიმალური ზღვარი - 51 ქულა) წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება სერთიფიკატების მქონე პირები. პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით. სამაგისტრო

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, საგამოცდო თემატიკა შესაბამისი ლიტერატურის ჩამონათვლით განთავსებული იქნება თესაუ-ს ვებ-გვერდზე, გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. სტუდენტი ვალდებულია გააფორმოს უნივერსიტეტთან ხელშეკრულება, გაიაროს აკადემიური და ფინანსური რეგისტრაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითერების მეთოდოლოგია;
- პროგრამებზე დაშვების წინაპირობები;
- თესაუ-ს ვებგვერდი- http://www.tesau.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალი ,,ისტორიის“ საბაკალავრო და ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სილაბუსებში გათვალისწინებულია ისტორიული კვლევების, ისტორიის თეორიისა და მეთოდოლოგიის ზოგიერთი თანამედროვე მიდგომის გამოყენებით ისტორიის შესახებ ნაშრომის/პროექტის შექმნა, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების ინტეგრირებას.

კლასტერში შემავალ ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ რიგ კომპონენტებში (სილაბუსებში) გათვალისწინებულია მაგისტრანტის მიერ დარგის შესაბამისი მეთოდებისა და დადგენილი აკადემიური სტანდარტების გამოყენებით კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქტიკული უნარებისა და თეორიული ცოდნის ინტეგრირებას.

თესაუ-ში ყოველ წელს ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, სადაც მაგისტრანტებს ეძლევა შესაძლებლობა გააკეთონ მოხსენება, მათ მიერ შესრულებული კვლევითი სამუშაოების შესახებ. ასევე მათი მოთხოვნის შემთხვევაში უნივერსიტეტი მხარს უჭერს მათი კვლევითი საქმიანობის განვითარებას სხვა აქტივობების დაფინანსებით. ახალგაზრდა მეცნიერთა, სტუდენტთა წახალისების ფორმაა კონფერენციის მასალებში მათი ნაშრომის გამოქვეყნება, გარკვეულ შემთხვევაში მეცნიერ-ხელმძღვანელთან თანაავტორობით.

სტუდენტთა თეორიული და პრაქტიკული უნარების გაღრმავებას ემსახურება თესაუ-ს მიერ თელავის ისტორიულ მუზეუმთან, თელავის რეგიონულ არქივსა და თელავის ბიბლიოთეკასთან გაფორმებული მემორანდუმები, რომელთა მიხედვით, თანამშრომლები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო დახმარების გაწევას სათანადო პროფესიული კომპეტენციების ასათვისებლად და ასევე კოორდინაციას უწევენ მათ პრაქტიკას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მემორანდუმებში არ არის მითითებული რა რაოდენობის სტუდენტთა მიღება შეუძლია ერთდროულად დაწესებულებას პრაქტიკის დროს. რაც გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის სტანდარტის მოთხოვნებთან. ამიტომ, ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა თუ დაკონკრეტდებოდა ერთდროულად რა ოდენობის სტუდენტთა თუ მაგისტრანტთა მიღება შეეძლებოდა თითოეულ ამ დაწესებულებას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით
აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

უნივერსიტეტის ვებგვერდის, სტუდენტური კონფერენციების მასალების მიხედვით ბაკალავრის საფეხურის სტუდენტები სასწავლო კურსის მეორე დეკადაში უკვე მონაწილეობენ როგორც სტუდენტურ კონფერენციებში, ასევე მცირე მასშტაბის ექსპედიციებში. ბუნებრივია კონფერენციის მასალებზე მუშაობა საჭიროებს გარკვეული უნარების გამომუშავებას და მათ პრაქტიკაში გამოყენებას. ასეთი უნარების გამომუშავებას ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული მემორანდუმები თელავის ისტორიულ მუზეუმთან და თელავის ბიბლიოთეკასთან, რომლებშიც სტუდენტები იღებენ პრაქტიკულ ცოდნას, კვლევის პროცესში წიგნზე, მასალაზე მუშაობის კუთხით. მუზეუმისა და ბიბლიოთეკის წარმომადგენელებმა ხაზი გაუსვეს, რომ სტუდენტთა აქტივობა ამ მიმართულებით საგრძნობია. კვლევის უნარების გამომუშავება ხდება ლექტორების და მუზეუმის თანამრომელთა მეთვალყურეობით და მითითებებით, რაც უზრუნველყოფს კვლევის უნარ-ჩვევების სწორად ჩამოყალიბებას და განვითარებას. საუნივერსიტეტო კონფერენციებში მონაწილეობა ხელშემწყობია სტუდენტს ჩამოუყალიბდეს პრეზენტაციის უნარი.

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა გამოკითხვით დადასტურდა, რომ მუდმივად ხდება სტუდენტთა ჩართვა აკადემიური პერსონალის მიერ დაგეგმილ სამეცნიერო კვლევებში, რასაც სტუდენტთა მხრიდან მაღალი მაჩვენებლის გამოვლენის შემთხვევაში მოსდევს მათი თანაავტორად წარმოჩენა პუბლიკაციებში. ასეთი მიდგომა, ერთის მხრივ გახლავთ სტუდენტისთვის კვლევის უნარ-ჩვევების განვითარების ძალიან კარგი საფუძველი, ხოლო მეორეს მხრივ მოტივაცია უფრო უკეთ სწავლისა და განვითარებისთვის.

როგორც დამსაქმებლებთან ინტერვიუებით გამოიკვეთა (თელავის მერია, კახეთის საშუალო სკოლები), პროგრამის კურსდამთავრებულები ფლობენ შემოქმედებით და საშემსრულებლო უნარებს, აქვთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელთაც იყენებენ სამუშაოს წარმართვის პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისტორიის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

„საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში 30 კრედიტი აქვს დათმობილი სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც გახლავთ საბოლოო პროდუქტი, რომლითაც ფასდება მაგისტრანტის მიერ პროგრამით მიღებული ცოდნის ხარისხი და ამავე დროს თავად პროგრამის სტრუქტურის გამართულობა. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით და კონსულტაციებით (რომელიც ხორციელდება როგორც ელექტრონული ისე საუდიტორიო, და სატელეფონო ფორმით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ასეთი კონსულტაციების რაოდენობა აბსოლუტურად განსხვავებულია თითოეულ მაგისტრანტთან მიმართებით და დამოკიდებულია მაგისტრანტის აქტივობაზე) რაც განაპირობებს მაგისტრანტის კვლევის პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწორი მიმართულებით განვითარებას. ამავე დროს, როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, სამაგისტრო ნაშრომები აბსოლუტურად ყველა არჩეულია თავად მაგისტრანტთა ინტერესიდან გამომდინარე და დაკავშირებულია რეგიონულ თემატიკასთან, რაც ზრდის პრობლემის კვლევისადმი ინტერესს. პროგრამის არსებობისას შესრულებული სამაგისტრო ნაშრომების აბსოლუტური უმრავლესობა ეფუძნება თელავის რეგიონულ საარქივო მასალას, რომლის მოძიებას, დამუშავებას, ანალიზს და ინტერპრეტაციას ახდენს მაგისტრანტი. ბუნებრივია, ეს კომპონენტები ხელს უწყობენ მაგისტრანტში არა მხოლოდ კვლევითი არამედ ანალიტიკური უნარის გამომუშავებას. სამაგისტრო ნაშრომის მზადების პერიოდში მაგისტრანტები მონაწილეობენ თესაუ-ს მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში, ზოგ შემთხვევაში არა მხოლოდ სტუდენტურ, არამედ სამეცნიერო რანგისაშიც, რაც წინაპირობაა მაგისტრანტში განვითარდეს რეპრეზენტირების უნარ-ჩვევები.

როგორც პუბლიკაციებით, საკონფერენციო მასალებით და ინტერვიუებით გამოიკვეთა, ხშირად მაგისტრანტები ჩართულები არიან თესაუ-ს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევით პროექტებში, რაც ასევე მოტივაციაა და კარგი საშუალება შემოქმედებითი და ასევე გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის.

დამსაქმებლები (თელავის მუნიციპალიტეტის მერია და რეგიონული საჯარო სკოლები) ადასტურებენ, რომ თესაუ-ს „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს განვითარებული აქვთ პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარ-ჩვევები და შეუძლიათ გუნდური მუშაობა.

ამდენად, პროგრამაში გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი, ასევე აკადემიური პერსონალის კვალიფიციურობა და თესაუ-ს აქტივობები განაპირობებს იმას, რომ „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურსდამთავრებულ სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომები;
- სტუდენტური კონფერენციების პროგრამები;
- განხორციელებული პრაქტიკა და პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია;

o შესაბამისი ხელშეკრულებები/ მემორანდუმები დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

დაკორექტირდეს მემორანდუმები და ჩაიწეროს იმ სტუდენტთა რაციონალური რაოდენობა, რისი მიღებაც შეუძლია დაწესებულებას სტუდენტებისთვის პრაქტიკული საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვისთვის.

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი: პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ძირითადი დოკუმენტების მიხედვით სწავლა-სწავლების მეთოდში გათვალისწინებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სტუდენტებისთვის პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მიცემა. სწავლების ფორმა მოიცავს ლექციას, სემინარს, პრაქტიკული მეცადინეობებს, მუშაობას, რეფერატს, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომს და ელექტრონული რესურსების სწავლებას. თითოეულ შემთხვევაში, სწავლის შედეგების მისაღწევად სასწავლო თემატიკიდან გამომდინარე, ლექტორმა უნდა გამოიყენოს შემდეგი მეთოდები და აქტივობები: ლექცია, სემინადამოუკიდებელი რი, ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიში, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება. პროგრამით გათვალისწინებულმა ზემოთ ჩამოთვლილმა სწავლების მეთოდებმა, როგორც აღინიშნა, უნდა უზრუნველყონ პროგრამის როგორც ძირითად შედეგებზე გასვლა, ისე გამოუმუშავოს სტუდენტს პროფესიული უნარ-ჩვევები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდს ეყრდნობა პროგრამის შემადგენელი ყველა სასწავლო კურსის სილაბუსიც, რომლებშიც სალექციო თემას მოსდევს პრაქტიკული სამუშაო სტუდენტისთვის კონკრეტული თემით, რომლის შესრულება ფასდება შესაბამისი ქულით. შეფასების სისტემაში გათვალისწინებულია, როგორც ავტონომიურობა, ასევე ჯგუფური მუშაობის პრინციპი, სტუდენტის მიერ თემის კრიტიკული განხილვის და მსჯელობის ნაწილი.

მაგრამ ერთია, გაწერო რა მეთოდით უნდა ასწავლო სტუდენტს, ხოლო მეორე რამდენად ხორციელდება ის რეალობაში. თესაუ-ს შემთხვევაში, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები, სტუდენტთა ჩართულობით განხორციელებული აქტივობები, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და ლექტორთა, ასევე დამსაქმებელთა გამოკითხვები უჩვენებს, რომ პროგრამაში ჩართული თითქმის ყველა აკადემიური პერსონალი სწავლის პროცესში იყენებს სწავლების იმ მეთოდებს, რომლებიც კონკრეტულ სასწავლო თემატიკისთვის შესაფერისია. რაც მთავარია, მეთოდები სტუდენტზე ორიენტირებულია, ისინი შეესაბამება სწავლების საფეხურს და როგორც ინტერვიუები უჩვენებს, განსაკუთრებით კი დამსაქმებელთა გამოკითხვა და ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა (კლასტერის რაოდენობრივი მაჩვენებლების დანართის მიხედვით კვალიფიკაციით დასაქმებულთა რაოდენობა ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა შემთხვევაში 58.5%-ია, ხოლო მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა შემთხვევაში 55.6%, ზოგადად დასაქმებულთა

რაოდენობა კი 69.8% და 88.9%), რომელიც რეალურად ყველაზე კარგი ინდიკატორია რამდენად სწორადაა დაგეგმილი და განხორციელებული პროგრამა, პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლა-სწავლების მეთოდების ერთ-ერთი კომპონენტია ელექტრონული რესურსით სწავლება, რომელიც გულისხმობს „სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შნაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით“ (ციტირება პროგრამიდან). თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, თესაუ-ს აკადემიურ და სასწავლო პერსონალს ამ მხრივ საკმაოდ კარგი თეორიული ცოდნა აქვს მიღებული წლების მანძილზე საქართველოსა თუ საზღვარგარეთ თესაუ-ს ფინანსური მხარდაჭერით განვლილი ტრეინინგებით. აღნიშნული თეორიული ცოდნა თესაუ-ს გამოადგა 2020-2022 წლების პანდემიურ პერიოდში, როცა უნივერსიტეტი სრულად დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა. ამ ტრეინინგების გამოისობით, პერსონალის თქმით, მათ არ გასჭირვებიათ ახალ სასწავლო გარემოზე გადასვლა, ხოლო სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთან ინტრვიუებით გამოიკვეთა, რომ ელექტრონული სწავლების სისტემას რაიმე ჩავარდნა და პრობლემები არ მოჰყოლია. ელექტრონული სწავლის ფორმის შეუფერხებლად წარმართვას ხელი შეუწყო თესაუ-ს მატერიალური-ტექნიკური ბაზის მომზადებამ, კონკრეტულად კი იგულისხმება ბიბლიოთეკის გაციფრულება და ელექტრომატარებლების მეშვეობით სტუდენტისთვის დაუბრკოლებლად მიწოდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სწავლა-სწავლების მეთოდები;
- ელექტრონული და საბიბლიოთეკო რესურსები;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთა	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთა

		ნ	ნ	ნ
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. დაწესებულებაში არსებობს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასების სისტემა და მათი შედარება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების (ECTS) მიერ შემუშავებულ სტუდენტთა რანჟირების სკალის მონაცემებთან. წარმოდგენილი პროგრამების შეფასების მიზნით, ასევე შესწავლილია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები. თელავის უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურიც აღნიშნავს, რომ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები ზედმეტად მაღალია და მიუთითებს ე.წ. ნიშანთა ინფლაციაზე, კერძოდ, ფრიადი შეფასება A (91-100 ქულა) სტუდენტთა 42,4 %-ს გააჩნია, რაც საკმაოდ აღემატება უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტს (10 %). C (71-80 ქულა) არის (17,02%), რაც საკმაოდ ჩამორჩება სტანდარტს (C- 30%). თუმცაღა აქვე აღსანიშნავია, რომ პანდემიის პერიოდში ფრიადმა შეფასებამ დაიწია 75 %-დან 42 %-მდე. ვფიქრობთ, სასურველია პროგრამის განმახორციელებელმა გუნდმა იზრუნოს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებაზე და ამ მიზნით დეტალურად იქნას შესწავლილი და განხილული თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ასევე განხორციელდეს სიღრმისეული მიზნობრივი კვლევები.

დაწესებულების რეგულაციებისა და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტების შეფასება შესაძლებელია შუალედური და დასკვნითი/ფინალური გამოცდების შედეგად. დაწესებულების წარმოდგენილ სილაბუსებში ჩანს, რომ სტუდენტების შეფასება შესაძლებელია, როგორც წერითი დავალების მიცემით, ისე პრეზენტაციებით, ჯგუფური სამუშაოებითა და ზეპირი გამოკითხვით.

ინტერვიუს დროს სტუდენტებს კითხვები დაესვათ გასაჩივრების მექანიზმის შესახებ, სადაც გამოიკვეთა, რომ სტუდენტები არ არიან გასაჩივრების მექანიზმის შესახებ ინფორმირებულები. ზოგადად იციან, რომ დაწესებულებას გააჩნია აღნიშნული, მაგრამ რა ფორმით, როგორ ხდება, ვის უნდა მიმართონ, ამ საკითხზე ინფორმაციას არ ფლობენ, რაც

პრობლემურია იმ მოცემულობიდან, რომ თითოეულმა სტუდენტმა სწორად და დეტალურად უნდა იცოდეს მათი უფლებების შესახებ ინფორმაცია.

პლაგიატის შესახებ და მისი პროგრამის შესახებ თავდაპირველად აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა, სადაც მათ თქვეს რომ დისტანციურად სწავლების დროს, განსაკუთებით მნიშვნელოვანი იყო turnitin-ის პროგრამის მნიშვნელობა. სტუდენტებიც ინფორმირებულნი არიან პლაგიატის ამომცნობი პროგრამის შესახებ და იყენებენ კიდევ საკმაოდ აქტიურად. დაწესებულებაში ვიზიტის დროს აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ სტუდენტებთა უშუალო კომუნიკაციიდან გამომდინარე, შეფასების განხილვა პირდაპირ ხდება სტუდენტებთან, თითოეულ სტუდენტს უხსნიან რა კრიტერიუმით და რის საფუძველზე დაეწერათ კონკრეტული შეფასება. ამასთან, ვიზიტის დროს სტუდენტური პორტალი დათვალიერდა, რის შედეგადაც ჩანს რომ პორტალს აქვს სპეფიალური ველი შეფასებისა და აპელაციის.
განსაკუთრებით დასარეგულირებელი და ყურადსაღებია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები. კერძოდ, ზედმეტად მაღალია ნაშრომის ხელმძღვანელის წილი - 100 ქულიდან 40 ქულა, რაც უნდა შეიცვალოს ნაშრომის შეფასების მეტი ობიექტურობისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

აღწერა და ანალიზი - პროგრამის სახელწოდება და საფეხური

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში შემავალი ,,ისტორიის“ საბაკალავრო და ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ დებულება;
- სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემა/პორტალი;
- შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი);
- პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების წესი;
- ეთიკის კოდექსი;
- ვებგვერდი - http://www.tesau.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:
სწავლების პროცესში ელექტრონული და ციფრული მეთოდების გამოყენების გაზრდა.

სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა გუნდმა დეტალურად შეისწავლოს ეისწავლოსოს სისწავლოს განმახორციელებელმა გუნდმა დეტალურაა და შეფასების

მეთოდები, ასევე განხორციელდეს სიღრმისეული მიზნობრივი კვლევები, რათა დადგინდეს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებებში დაფიქსირებული მაღალი მაჩვენებლების გამომწვევი მიზეზები.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: დასარეგულირებელია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კომპონენტები. კერძოდ, ზედმეტად მაღალია ნაშრომის ხელმძღვანელის წილი - 100 ქულიდან 40 ქულა, რაც უნდა შეიცვალოს ნაშრომის შეფასების მეტი ობიექტურობისათვის.

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია რომ დაწესებულება აქტიურად აწვდის ინფორმაციას სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს განხორციელებული სიახლეებისა და სხვადასხვა პროექტების შესახებ ინფორმაციას. სტუდენტები, როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა საკმაოდ აქტიურად არიან ჩაბმულნი დაწესებულების საქმიანობაში. ამასთან, აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობაში. დაწესებულების პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ის შენიშვნები, რომლებიც სტუდენტებს ჰქონდათ მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული პროგრამის ფორმირებისას.

დაწესებულება საშუალებას აძლევს სტუდენტებს სხვადასხვა კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში მიიღონ მონაწილეობა, აღნიშნულის შესახებ, როგორც სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ინფორმაციას იღებენ დაწესებულების ვებ-გვერდის, მეილისა და სოციალური ქსელის საშუალებით. მათ აქტიურად და ყოველდღიურ რეჟიმში ეგზავნებათ ინფორმაცია მეილებზე.

პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმაციით, იმისთვის, რომ სტუდენტებმა თეორიული ცოდნა მაქსიმალურად გაიღრმავონ პრაქტიკული აქტივობებით, სხვადასხვა სილაბუსში გათვალისწინებულია ჩაშენებული პრაქტიკული საქმიანობა, რომლის ფარგლებში სტუდენტები სტუმრობენ მუზეუმებს, არქივებს. სტუდენტების ინფორმაციით, არაერთხელ ჩატარებულა სხვადასხვა კონფერენცია და ტრენინგი, მათ შორის ბოლო ჩატარდა ერეკლე მეორის შესახებ, სადაც სპიკერად მოწვეული იყო ლექტორი სხვა დაწესებულებიდან.

სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ ასევე არქეოლოგიურ გათხრებში მიეღოთ მონაწილება და აღნიშნული პროცესი უშუალოდ ენახათ.

თითოეული აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის სავალდებულოა, რომ ჰქონდეთ სტუდენტთან საკონსულტაციო საათები, რომელიც აღნიშნულია, როგორც პერსონალის სემესტრულ დატვირთვაში, ასევე გათვალისწინებულია სილაბუსებში. აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ კვირაში ორი დღე სავალდებულია სტუდენტისათვის ჰქონდეს გამოყოფილი საათები. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ლექტორებთან საკმაოდ მჭიდრო და უშუალო ურთიერთობა, შესაბამისად რაიმე კითხვისა და დახმარების საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ უშუალოდ სოციალური ქსელის ან/და მეილის საშუალებით დაუკავშირდნენ ლექტორებს და ისე მიიღონ პასუხი.

კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში არსებული სიახლეების შესახებ ინფორმაციას პერიოდულად იღებენ მეილისა და ვებ-გვერდის საშუალებით, ასევე დაწესებულება სისტემატიურად უკავშირდება მათ გამოკითხვებში მონაწილეობისათვის და ინტერესდება კურსდამთავრებულების აზრით.

დაწესებულების პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა რომ დაწესებულებაში არსებობს კარიერული ზრდის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების დასაქმებას, მომავალ დამსაქმებლებთან კომუნიკაციას და ურთიერთობის კოორდინაციას. აღნიშნულზე დაყრდნობით, სტუდენტები დასაქმებულები არიან, მერიის სტრუქტურებში, მუზეუმში, სკოლებსა და არქივში.

დამსაქმებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მართალია სტუდენტების ცოდნა და უნარ-ჩვევები სრულად თავსებადია დამსაქმებლის მოთხოვნებთან, მნიშვნელოვანი იქნება თუ სტუდენტთა უცხო ენის ცოდნის დონე მკვეთრად გაუმჯობესდება, რაც შემდგომ უფრო მეტად კარიერულ წინსვლას უზრუნველყოფს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სტუდენტები იყენებენ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს, თუმცა მწირად და ეს აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს.

დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის შესაბამისი ლიტერატურის არსებობას/მიწოდებას. დაწესებულებაში ვიზიტისას შემოწმდა ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები, არსებული ლიტერატურა, რომელიც სტუდენტებისათვის იყო სილაბუსში გათვალისწინებული და ყველა მათგანი აქვს დაწესებულებას, როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელის ორგანიზებით შეიქმნა კურსების რიდერები, რაც უფრო მეტად უადვილებს სტუდენტებს ინფორმაციის მიღებას. ამასთან, თითოეულ სტუდენტებს აქვთ პირადი მეილი, რომლის საშუალებითაც, როგორც დაწესებულებაში, ისე სახლში შესაძლებელია სხვადასხვა ლიტერატურის გაცნობა. პროგრამის ხელმძღვანელებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მიმდინარეობს სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობა, რაც მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად ზრუნავს კლასტერში შემავალი ,,ისტორიის“ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მუდმივ კონტაქტშია სტუდენტებთან და სწავლის დაწყებისთანავე ეხმარება მათ საგანმანათლებლო

პროგრამების/ სასწავლო კურსების შინაარსის, წინაპირობების, კრედიტების დაგროვების და სხვა საჭირო დეტალების გარკვევაში.

ფაკულტეტის დამხმარე პერსონალი მუდმივად უწევს მონიტორინგს სტუდენტთა პირად საქმეებს და შესაბამის ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს მათი საჭიროებიდან გამომდინარე. ყველა სასწავლო კურსის ლექტორს გამოყოფილი აქვს დამატებითი დრო სტუდენტების კონსულტირებისათვის, რაც ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსების გაცნობა სტუდენტებისათვის ხდება სასწავლო პროცესის პირველივე კვირას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული ზრდის და განვითარების სერვისი, რომელიც ეხმარება სტუდენტებს კარიერული განვითარების დაგეგმვის საკითხებში. კარიერული ზრდის სერვისის საქმიანობა მოიცავს: პოტენციურ დამსაქმებლებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებას და ერთიან მონაცემთა ბაზის შექმნას; დამსაქმებლებთან ურთიერთობის კოორდინირებას და რეგულარული კონტაქტების დამყარებას დამსაქმებლებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით; სტუდენტების მონაცემთა გადაგზავნას კონკრეტულ ვაკანსიებზე, ასევე მათთვის სტაჟირებისა თუ დასაქმების სხვა შესაძლებლობების მოძიებას; შრომის ბაზრის დინამიკის რეგულარულ ანალიზს და არსებული ვაკანსიების მონიტორინგს; დამსაქმებლებთან ურთიერთობაში სტუდენტების დახმარებასა და ხელშეწყობას; დამსაქმებლებთან მიზნობრივი შეხვედრების მოწყობას; სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შესახებ კვლევას მათი კარიერული, პიროვნული და აკადემიური განვითარების ხელშეწყობის მიზნით; ფაკულტეტებთან ერთად, პროგრამების შემუშავებაში პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობის ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ერასმუს+ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, სასწავლებლად/კვლევის ჩასატარებლად პარტნიორ უნივერსიტეტებში გამგზავრების საშუალება აქვთ და პროექტით დაგეგმილ აქტივობებში ჩაერთვებიან. როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, სტუდენტებს საერთაშორისო პროექტების ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობის საშუალება ექნება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად ზრუნავს კლასტერში შემავალი „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მუდმივ კონტაქტშია სტუდენტებთან და სწავლის დაწყებისთანავე ეხმარება მათ საგანმანათლებლო პროგრამების/ სასწავლო კურსების შინაარსის, წინაპირობების, კრედიტების დაგროვების და სხვა საჭირო დეტალების გარკვევაში.

ფაკულტეტის დამხმარე პერსონალი მუდმივად უწევს მონიტორინგს სტუდენტთა პირად საქმეებს და შესაბამის ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს მათი საჭიროებიდან გამომდინარე. ყველა სასწავლო კურსის ლექტორს გამოყოფილი აქვს დამატებითი დრო სტუდენტების კონსულტირებისათვის, რაც ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსების გაცნობა სტუდენტებისათვის ხდება სასწავლო პროცესის პირველივე კვირას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული ზრდის და განვითარების სერვისი, რომელიც ეხმარება სტუდენტებს კარიერული განვითარების დაგეგმვის საკითხებში. კარიერული ზრდის სერვისის საქმიანობა მოიცავს: პოტენციურ დამსაქმებლებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებას და ერთიან მონაცემთა ბაზის შექმნას; დამსაქმებლებთან ურთიერთობის კოორდინირებას და რეგულარული კონტაქტების დამყარებას დამსაქმებლებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით; სტუდენტების მონაცემთა

გადაგზავნას კონკრეტულ ვაკანსიებზე, ასევე მათთვის სტაჟირებისა თუ დასაქმების სხვა შესაძლებლობების მოძიებას; შრომის ბაზრის დინამიკის რეგულარულ ანალიზს და არსებული ვაკანსიების მონიტორინგს; დამსაქმებლებთან ურთიერთობაში სტუდენტების დახმარებასა და ხელშეწყობას; დამსაქმებლებთან მიზნობრივი შეხვედრების მოწყობას; სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შესახებ კვლევას მათი კარიერული, პიროვნული და აკადემიური განვითარების ხელშეწყობის მიზნით; ფაკულტეტებთან ერთად, პროგრამების შემუშავებაში პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობის ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ერასმუს+ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, სასწავლებლად/კვლევის ჩასატარებლად პარტნიორ უნივერსიტეტებში გამგზავრების საშუალება აქვთ და პროექტით დაგეგმილ აქტივობებში ჩაერთვებიან. როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, სტუდენტებს საერთაშორისო პროექტების ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობის საშუალება ექნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კლასტერული თვითშეფასების ანგარიში
- კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ დოკუმენტი
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები
- სამეცნიერო პერსონალის მიმდინარე სემესტრული დატვირთვა
- მემორანდუმები
- შრომის ბაზრის ანალიზი
- გამოცხადებული ვაკანსიები
- ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

დაწესებულებამ მეტი ძალისხმევა გასწიოს სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობაზე, რისთვისაც სასურველია გაუმჯობესდეს დაწესებულებაში უცხო ენის სწავლების დონე.

კლასტერის საერთო რჩევები:

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საჭიროების შემთხვევაში, **აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესის მე-4 მუხლში აღნიშნულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

შეიძლება იყოს შესაბამისი მიმართულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი. აუცილებლობის შემთხვევაში კი შესაბამის მიმართულებაში სამეცნიერო ხარისხის მოწვეული ლექტორი. დაწესებულებაში არსებული სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელის ბიოგრაფია (cv)-დან ჩანს, რომ აღნიშნული პირები არიან კვალიფიციურები თავიანთ მიმართულებაში, ვინაიდან არაერთი პუბლიკაციისა და სახელმძღვანელოს ავტორები/თანაავტორები არიან. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების დებულების მე-5 მუხლში აღნიშნული დანაწესი, რის საფუძველზეც სემესტრის განმავლობაში ერთი პროფესორი შესაძლებელია მხოლოდ 5 სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს. მათ ინტერვიუს დროს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს რომ სტუდენტებთან აქტიურად ჰქონდათ კონტაქტი ნაშრომის შემუშავების დროს, რაც მოიცავდა, თემის შერჩავში მონაწილეობას, ლიტერატურის მოძიებასა და ნაშრომის შესწორება/დაკორექტირებას. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ მატერიალურად არსებული ვალდებულების გარდა, რომ სტუდენტებთან უნდა ჰქონდეთ აქტიური კავშირი და კონსულტაციები სამაგისრეო ნაშრომის შესრულებისას, ისედაც ყოველთვის უშუალო და პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ, რაც მოიცავს ნებისმიერ დროს, როგორც სოციალური ქსელის საშუალებით, ისე მეილის საშუელაბით კომუნიკაციას. აღნიშნული ინფორმაცია სტუდენტებმაც დაადასტურეს ინტერვიუს დროს, სადაც მათ აღნიშნეს რომ ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას ჰქონიათ პირდაპირ უკითხავთ ხელმძღვანელისათვის, როგორც სატელეფონო საუბრის გამოყენებით, ისე სოციალური ქსელის მეშვეობით. სამაგისტრო ხელმძღვანელები სტუდენტებს ეხმარებიან თემის არჩევაში, რაც მოიცავს როგორც თემის შინაარსისა და სათაურის დაკორექტირებას, ისე მიმათულების მიცემას. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ თავდაპირველად სტუდენტებს აძლევენ თავისუფლებას, რომ მათ განსაზღვრონ სასურველი თემატიკა, მაგრამ თუ სტუდენტს დახმარება ესაჭიროება აღნიშნულ შემთხვევაში ნებისმიერ დროს ეხმარებიან. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სამაგისტრო ნაშრომის სრულყოფისთვის ისინი იყენებდნენ სხვადასხვა გამოკითხვებს, პირდაპირ მიდიოდნენ მუზეუმებში, არქივებში, რაშიც ეხმარებოდნენ სამაგისტრო ხელმძღვანელები, ვინაიდან თვითონ ხელმძღვანელების მიერ ხდებოდა აღნიშნული პროცესის დაორგანიზება. სამაგისტრო ნაშრომის წერისას, სტუდენტი წინასწარ არის ინფორმირებული პლაგიატის პროცენტულობის ან/და მისი არსებობის შესახებ, ვინაიდან საბოლოოდ ნაშრომის შესრულებამდე, სტუდენტი ეტაპობრივად, ნაწილ-ნაწილ, ტვირთავს სამაგისტრო ნაშრომს მუდლის პროგრამაში (turnitin), რომლიც ადგენს პლაგიატის პროცენტულობას.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში სავალდებულო მოთხოვნად უნდა ფიქსირდებოდეს: ნაშრომის მიზანი, სიახლე, წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა. სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის შერჩევისას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სასურველია მეტ აქცენტს ახდენდეს რეგიონის ისტორიაზე, ამგვარად სამაგისტრო ნაშრომი მეტად ორიგინალური და კვლევითი კომპონენტის შემცველი იქნებოდა. ამჟამინდელი 18 სამაგისტრო ნაშრომიდან მხოლოდ 4 თემა პასუხობს ამ კრიტერიუმს. აგრეთვე სამაგისტრო ნაშრომთა დიდი ნაწილი რეფერატის ტიპისაა.

სამაგისტრო თემის დამტკიცებისას მნიშვნელოვანია იმთავითვე განისაზღვროს მისი დისერტაბელობა, რომ ნაშრომის დასრულებისას არ მივიღოთ განსხვავებული შედეგი. მაგალითად, სხვადასხვა წლებში დაცული 3 სამაგისტრო ნაშრომის თემა მსგავსი შინაარსისაა, თუმცა სხვადასხვა მოცულობის. გოგა მთვარელიშვილი - „საბჭოთა რეპრესიები თელავის რაიონში 1937-1938 წლებში“; თინათინ ბახსოლიანი - „1937-38 წლების საბჭოური რეპრესიები საქართველოში“; ბოტკოველი მაკა - „საბჭოთა რეპრესიები კახეთში 1920-1930-იან წლებში“.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	8
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	18
//დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	18/8
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების გაფორმების დაცვისა და შეფასების შესახებ დებულება;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვები;
- აკადემიური პერსონალის CV და შრომების სია.
- სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები
- დაცული სამაგისტრო ნაშრომებისა და ხელმძღვანელების ინფორმაცია (წლების მიხედვით)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები:

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში სავალდებულო მოთხოვნად უნდა ფიქსირდებოდეს: ნაშრომის მიზანი, სიახლე, წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა.

სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის შერჩევისას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სასურველია მეტ აქცენტს ახდენდეს რეგიონის ისტორიაზე, ამგვარად სამაგისტრო ნაშრომი მეტად ორიგინალური და კვლევითი კომპონენტის შემცველი იქნებოდა.

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“,	☒	☐	☐	☐

მაგისტრატურა)				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული ,,ისტორიის“ საბაკალავრო და ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კლასტერში შემავალი ,,ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მუშაობს აკადემიური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს ამ პროგრამის წარმატებით განხორციელებას. უნივერსიტეტში (თესაუ) აკადემიური პოზიციების დაკავება რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ და უნივერსიტეტის წესდებით. აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმსა და კვალიფიკაციას ადასტურებს მათი პროფესიული საქმიანობა, აქტივობები ამ მიმართულებით და შესაბამისი დოკუმენტაცია (დიპლომები, სერტიფიკატები და ა.შ.). პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა, სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო

პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. უნივერსიტეტში პროგრამის განმახორციელებელი 19 აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან - 12 აფილირებული აკადემიური პერსონალია, ხოლო მოწვეული - 7. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსია 12/7. მათ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ბიოგრაფიები და შრომითი გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა დოკუმენტები: პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია და თესაუ-ს პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა.

,,ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს სრულად გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში, მართვას და კოორდინირებას უწევს პროგრამის შემუშავებისა და თვითშეფასების ჯგუფების საქმიანობას. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები დამტკიცებულია თესაუ-ში მოქმედ სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში, უნივერსიტეტებში და ფაკულტეტზე მუშაობს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის ხელშემწყობი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ პროგრამების წარმატებით განხორციელებას. სტუდენტთა სასწავლო და სამეცნიერო ინტერესების დაკმაყოფილებას უძღვება ფაკულტეტის დეკანატი დეკანის სრული საშტატო ერთეულით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი და დეპარტამენტის სპეციალისტები.

პროგრამის განხორციელებას ემსახურებიან უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრების სპეციალისტები, ბიბლიოთეკის პერსონალი, რომელთა საქმიანობაც ასევე რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ და უნივერსიტეტების წესდებით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[7]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[8]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	19	**12**	**9**	12
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	10	4	4	10
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	7	5	2	0
სამეცნიერო პერსონალი			-	–

[7] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[8] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კლასტერში შემავალი ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მუშაობს აკადემიური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს ამ პროგრამის წარმატებით განხორციელებას. უნივერსიტეტში (თესაუ) აკადემიური პოზიციების დაკავება რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ და უნივერსიტეტის წესდებით. აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმსა და კვალიფიკაციას ადასტურებს მათი პროფესიული საქმიანობა, აქტივობები ამ მიმართულებით და შესაბამისი დოკუმენტაცია (დიპლომები, სერტიფიკატები და ა.შ.).

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა, სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

უნივერსიტეტში პროგრამის განმახორციელებელი 11 აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან - 10 აფილირებული აკადემიური პერსონალია, ხოლო მოწვეულია - 1. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსია 10/1. მათ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ბიოგრაფიები და შრომითი გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა დოკუმენტები: პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია და თესაუ-ს პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა.

,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს სრულად გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში, მართვას და კოორდინირებას უწევს პროგრამის შემუშავებისა და თვითშეფასების ჯგუფების საქმიანობას. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები დამტკიცებულია თესაუ-ში მოქმედ სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში, უნივერსიტეტებში და ფაკულტეტზე მუშაობს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის ხელშემწყობი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ პროგრამების წარმატებით განხორციელებას. სტუდენტთა სასწავლო და სამეცნიერო ინტერესების დაკმაყოფილებას უძღვება ფაკულტეტის დეკანატი დეკანის სრული საშტატო ერთეულით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი და დეპარტამენტის სპეციალისტები.

პროგრამის განხორციელებას ემსახურებიან უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრების სპეციალისტები, ბიბლიოთეკის პერსონალი, რომელთა საქმიანობაც ასევე რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ და უნივერსიტეტების წესდებით.

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)[9]

[9] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[10]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[11]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	11	**7**	**7**	6
- პროფესორი	2	2	2	2-
- ასოცირებული პროფესორი	8	5	5	4
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	1	0	1	0
სამეცნიერო პერსონალი			-	–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პერსონალის პირადი საქმეები, სამეცნიერო ნაშრომების სია, ინტერვიუს შედეგები, აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი და შედეგების ანალიზი, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პირადი საქმე,

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: **რჩევ(ებ)ი:**

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის

[10] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[11] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალი ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტების ხელმძღვანელები/თანახელმძღვანელები სრულად შეესაბამებიან თავისი კვალიფიკაციით და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილებით თანამედროვე მოთხოვნებს. ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტებს ჰყავს კვალიფიციური

ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

თითოეული ხელმძღვანელი მაგისტრანტის ჩართულობით უზრუნველყოფს საკვლევი თემატიკიდან, დარგის აქტუალური საკითხებიდან შეირჩეს საკვლევი თემა, კოორდინირებას უწევს კვლევითი პროცესის წარმატებით განხორციელებას და შედეგის სამაგისტრო ნაშრომში ასახვას. ასევე, შესაძლებელია კვლევითი შედეგები ასახული იქნას სამეცნიერო პუბლიკაციის სახით.

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[12]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**8**	**8**	**8**
- **პროფესორი**	2	2	2
- **ასოცირებული პროფესორი**	6	6	6
- **ასისტენტ-პროფესორი**			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

[12] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით (კითხვარები, კითხვარების ანალიზი, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი), რაც ინტერვიუების დროს დაადასტურეს ადმინისტრაციის წარმომადგენლება, აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება როგორც სამეცნიერო, ისე სასწავლო კუთხით, ხორციელდება ყოველი წლის ბოლოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ. შეფასების საფუძველია დეპარტამენტის, ფაკულტეტის დეკანისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარდგენილი ინფორმაცია, რომელიც მოიცავს როგორც პირდაპირ ასევე არაპირდაპირ მონაცემებს. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კითხვარები, რომელსაც ანონიმურად ავსებენ როგორც სტუდენტები, ასევე აკადემიური პერსონალი სემესტრის ბოლოს. საჭიროების შემთხვევაში მონაცემების განხილვა ხდება აკადემიური პერსონალისა და პროგრამის განვითარების საბჭოზე.

პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებისთვის უნივერსიტეტი ახორციელებს როგორც ტრეინინგებს (თესაუ-ში განხორციელებული ტრეინინტების ვრცელი ჩამონათვალი მოცემულია კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის 33-39-ე გვერდებზე), ასევე სემინარებს და აწყობს კონფერენციებს. მათ შორის, ყოველწლიურად ეწყობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“, რომლის მასალები გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. უნივერსიტეტის მხრიდან ხდება აკადემიური პერსონალის მივლინებების დაფინანსება სამეცნიერო მიმართულებით (მათ შორისაა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ ჩატარებული კონფერენციები, ასევე ქვეყნის შიგნით სამეცნიერო კვლევითი მივლინებები) და კვალიფიკაციის ასამაღლებლად პროფესიულ ტრეინინგებსა და კურსებზე. კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ უკან დაბრუნებული პერსონალი უკვე თავად ხდება უნივერსიტეტის დანარჩენი პერსონალისთვის ინფორმაციის მიმწოდებელი და ცოდნის გადამცემი. მაგ. განხორციელებული ტრეინინგების ერთი ნაწილი ეხებოდა დისტანციური სწავლების მეთოდებს, რის შედეგადაც, როგორც ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, თელავის უნივერსიტეტი სრულად მომზადებული შეხვდა პანდემიის პერიოდში სწავლის ახალ სისტემაზე გადასვლას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან გამოხატულია ასევე სამეცნიერო პუბლიკაციების გამოცემის დაფინანსებაში. ამაში იგულისხმება როგორც სახელმძღვანელოები, ასევე სამეცნიერო სტატიების კრებულები (თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული სახით) და მონოგრაფიები (პუბლიკაციები დაცულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში). უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელებულია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდით დაფინანსებული კვლევები: 1. ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება კახეთში - ლეკები (ხუნძახები-ავარები); 2. ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა.

ამდენად, თესაუს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება შესაბამისობაშია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კონფერენციების, ტრენინგების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების,
- აკადემიური პერსონალის CV და შრომების სია
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსები და აუდიტორიები აღჭურვილია სწავლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით (აუდიტორიები, საპრეზენტაციო სივრცეები, კომპიუტერები, ბიბლიოთეკა). ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ კარგი პროექტორები, რომელიც სალექციო პროცესს მეტად პროდუქტიულსა და მნიშვნელოვანს ხდის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მუდმივად ივსება წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკაში მოიპოვება პროგრამის სასწავლო სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა და ლექტორის რიდერები, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით. ასევე ხდება სტუდენტებისთვის მეტი ხელშეწყობის მიზნით ადგილზე მათი გაციფრულება. ამასთან, დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული, რომ სტუდენტებისათვის შეიქმნას საკმარისი რიდერები, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა შეუფერხებლად გაეცნონ ლიტერატურას.

უნივერსიტეტს აქვს ისეთი ბაზები შეძენილი, როგორიცაა :

Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core)

- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com/)
- SAGE Journals(https://journals.sagepub.com)
- e-Duke Journals Scholarly Collection(https://read.dukeupress.edu/)
- Openedition Journals (https://www.openedition.org/)

ბიბლიოთეკას აქვს ასევე, Elsevier-ის მონაცემთა ბაზები:

- ScienceDirect®online
- Scopus® online

უნივერსიტეტში ვიზიტის დროს, შემოწმდა სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. უნივერსიტეტს აღნიშნული, როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად აქვს, მაგრამ სამეცნიერო ბაზების შემოწმებისას, უნივერსიტეტის მხრიდან ვერ შემოწმდა აღნიშნული, რადგან ან ტექნიკური ხარვეზის ან/და სხვა გაუმართაობის გამო, მაგრამ ინტერვიუს დროს შესაძლებელი ვერ იქნა ბაზებზე რამდენიმე ლიტერატურა სრულყოფილად შემოწმებულიყო.

უნივერსიტეტს გააჩნია საკმაოდ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს წიგნსაცავი, სააბონენტო და სამკითხველო დარბაზი, საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი, კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი-სკანერი-ქსეროქსი, სააქტო და საპრეზენტაციო დარბაზები.

უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის საკმარისი რაოდენობით არის, როგორც სამკითველო სივრცე, ისე კომპიუტერები, რისი გამოყენებაც შეუძლიათ შეუზღუდავად სტუდენტებს.სტუდენტებს შეუძლიათ სასურველი ლიტერატურა გაიტანონ უნივერსიტეტის გარეთ, გარკვეული პერიოდით, რომლისათვისაც ტოვებენ ან პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ან/და საუნივერსიტეტო საშვს, რომლის მეშვეობითაც გარკვეული ვადის შემდგომ ვალდებულნი არიან წაღებული წიგნი დააბრუნონ. ამწუხაროდ, უნვიერსიტეტის ბიბლიოთეკა არ იყო ადაპტირებული შშმ პირებისათვის, რაც ვთვლი რომ ყურადსაღები საკითხიამ ვინაიდან თითოეულ სტუდენტს, მნიშვნელობა არ აქვს ფიზიკური შესაძლებლობისა, შეუფერხებლად უნდა შეეძლოთ, როგორც ცოდნის მიღება, ისე ცოდნის მიღების პროცესში სასურველი ლიტერატურისა და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო, ციფრული რესურსი;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები: კარგი იქნება თუ საბიბლიოთეკო სივრცე ადაპტირდება შშმ პირებისათვის, რადგან აღნიშნული თითოეულ სტუდენტს, მათი ფიზიკური შესაძლებლობისა, მისცემს სრულფასოვანი სწავლის შესაძლებლობას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული ,,ისტორიის“ საბაკალავრო და ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის წარმოდგენილია ინდივიდუალური პროგრამული ბიუჯეტები. პროგრამების ბიუჯეტებში გაწერილია როგორც შემოსავლების, ისე ხარჯვითი ნაწილები, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნიან პროგრამების მართვისთვის საჭირო ფინანსური რესურსების განაწილებაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

საგანმანათლებლო პროგრამას აქვს უნივერსიტეტისგან გამოყოფილი ბიუჯეტი, რომელიც შემოსავლების ნაწილში ითვლის სტუდენტთა მიერ გადახდილ სწავლის საფასურს, რაც ერთი სტუდენტისთვის შეადგენს 2250 ლარს. წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, იმისთვის რომ პროგრამამ იფუნქციონიროს შეუფერხებლად, სტუდენტთა ოპტიმალურ რაოდენობად უნდა განისაზღვროს 140 სტუდენტი, რაც წლიურად 315 000 ლარის შემოსავალს ნიშნავს.

საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი ხარჯვით ნაწილში ითვლის 211480 ლარს. ბიუჯეტში თანხები გამოყოფილია ისეთი აქტივობებისთვის, როგორიცაა: აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელფასი, პრაქტიკის ხარჯი, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები, სხვა სტუდენტური აქტივობების ხარჯი, კვლევებისა და განვითარების ღონისძიებების მიზნით გაწეული ხარჯები, წიგნადი ფონდისა და ელექტრონული რესურსების შეძენის, სტიპენდიის/ჯილდოს/წახალისების, კომუნალური და სხვა ხარჯები. ბიუჯეტში ასევე გამოყოფილია რისკების დაზღვევისთვის 63000 ლარი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასწავლო პრაქტიკისთვის გამოყოფილი 2000 ლარი, ისევე როგორც სტიპენდიისთვის/ჯილდოსთვის/წახალისებისთვის გამოყოფილი 3000 ლარი, ვფიქრობთ, ნაკლებ რეალისტურია პროგრამის მიზნებისა და საჭიროებების უზრუნველსაყოფად. სასურველია, გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში აღნიშნული კომპონენტებისთვის გამოყოფილი თანხები და მოხდეს მათი გაზრდა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

კლასტერში შემავალი ,,საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის ინდივიდუალური ბიუჯეტი, რომელიც შემოსავლების ნაწილში 30 სტუდენტზე ითვლის 67500 ლარს, ხოლო ხარჯვით ნაწილში გაწერილია 47 600 ლარი. მსგავსად საბაკალავრო პროგრამისა, პრაქტიკისთვის აქაც გამოყოფილია 2 000 ლარი, რაც ვფიქრობთ, ძალიან მიზერული თანხაა. სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში არ გვხვდება სტიპენდიებისთვის გამოყოფილი თანხები, არც წიგნადი ფონის და საბიბლიოთეკო რესურსების

განახლებისთვის არსებული ხარჯები. სასურველია დაზუსტდეს სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი და დეტალურად გაიწეროს ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტისთვის (სტიპენდიები, წიგნადი, ელექტრონული და საბიბლიოთეკო ფონდების განახლება) გამოყოფილი ფინანსური რესურსები.

მსგავსად საბაკალავრო პროგრამისა, სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელფასისთვის, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებებისთვის, სტუდენტური აქტივობებისთვის გამოყოფილი ხარჯები, კვლევებისა და განვითარების ღონისძიებების მიზნით გაწეული ხარჯები, კომუნალური და სხვა ხარჯები. სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებულია სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობისთვის გამოყოფილი ხარჯიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების ბიუჯეტები;
- ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ბიუჯეტები;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

სასურველია გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში პრაქტიკისა და სტიპენდია/ჯილდო/წახალისების აქტივობებისთვის გამოყოფილი თანხები და მოხდეს მათი გაზრდა.

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

სასურველია, დაზუსტდეს სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი და დეტალურად გაიწეროს ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტისთვის (სტიპენდიები, წიგნადი, ელექტრონული და საბიბლიოთეკო ფონდების განახლება) გამოყოფილი ფინანსური რესურსები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, სწავლა-სწავლების, კვლევის, საუნივერსიტეტო, სტუდენტთა, აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის მხარდამჭერი სერვისების მიწოდებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება როგორც უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებს, ისე უმაღლესი განათლების სივრცეში არსებულ ქართულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო გამოცდილებას, მათ შორის ბოლონიის სარეკომენდაციო დოკუმენტებს.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების სხვადასხვა დონეზე სისტემურად განხორციელებას უძღვება დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც წარმოადგენს მართვის ერთ-ერთ ორგანოს და რომლის უშუალო დაქვემდებარებაშია ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, საგამოცდო ცენტრი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახური. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს სამსახურის დებულებით, რომლის თანახმადაც ძირითადი მიზნები და ამოცანებია ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი პოლიტიკის შემუშავება, უნივერსიტეტში სასწავლო და კვლევითი მუშაობის შეფასება და ამაღლება, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება, სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, ავტორიზაციის და აკრედიტაციისთვის შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ორგანიზებაში მონაწილეობა, შრომის ბაზრის უწყვეტი მონიტორინგი და მათთან პროგრამების შესაბამისობის დადგენა და სხვ.

დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების მექანიზმების“ მიხედვით თესაუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა იმართება PDCA ციკლის პრინციპის მიხედვით, რაც ითვალისწინებს პროცესების თანმიმდვერულად დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებასა და განვითარებას. დოკუმენტის თანახმად, სასწავლო და კვლევითი პროცესების, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესი ხორციელდება

ზემოაღნიშნული პრინციპის მიხედვით და ამ პროცესში ამავდროულად უზრუნველყოფილია ყველა დაინტერესებული მხარის თანამონაწილეობა.

როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება მოხდა პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების თანამშრომლობის საფუძველზე. პროგრამების სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილია ე.წ. რუკები, გამოკითხვის ფორმები, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტ-ნაკლებად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მათი ინფორმირებულობის დონე უნივერსიტეტში არსებული ან/და ცალკეული პროგრამების მიხედვით დანერგილი ხარისხის მექანიზმებთან დაკავშირებით დაბალია. მაგ., პერსონალმა გასაუბრებისას პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმად დაასახელა მხოლოდ გამოკითხვები. რეკომენდებულია, ამაღლდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის დონე პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების საკითხებთან დაკავშირებით და გაიზარდოს მათი ჩართულობის დონე ზემოაღნიშნულ პროცესებში.

რაც შეეხება თვითშეფასების დოკუმენტის მომზადებას, ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალით. აღსანიშნავია, რომ კლასტერული თვითშეფასების დოკუმენტი რიგ სტანდარტებთან მიმართებით არ პასუხობს თვითშეფასების ანგარიშის მომზადების ძირითად პრინციპებს. როგორც ვიცით, კლასტერული თვითშეფასების ანგარიშის ფორმა დამტკიცებულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანების მიხედვით. აღნიშნული ფორმა წარმოადგენს არა სარეკომენდაციო დოკუმენტს, არამედ მაქსიმალური სიცხადით, ფორმაში გამოტანილი კრიტერიუმების მიხედვით შესავსებ ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც უნდა ასახავდეს დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სიღრმისეულ ანალიზსა და კრიტიკულ ხედვას, ასევე, საქმიანობის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს. თვითშეფასება უნდა იყოს სტილისტურად გამართული, გასაგებად და ნათლად დაწერილი. მასში უნდა ჩანდეს საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფების და კლასტერულად განხორციელების ხედვა. ამასთან, დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში გაკეთებული თითოეული განაცხადი უნდა იყოს სათანადოდ არგუმენტირებული და ეფუძნებოდეს შესაბამის მტკიცებულებებს, რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კლასტერული თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი მაგ., პირველი სტანდარტის 1.1. კომპონენტთან მიმართებით მიმართებით ვერ აკმაყოფილებს ოფიციალური ფორმით განსაზღვრული კომპონენტების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციისა თუ ანალიზის წარმოდგენას. მასში მხოლოდ გამოტანილია პროგრამების მიზნები და არ ჩანს ანალიზური და შეფასებითი ნაწილი კლასტერში გაერთიანებული თითოეული პროგრამისთვის. ასევე, პრობლემურია 1.2 კომპონენტში მოცემული ინფორმაციაც. თვითშეფასების ჩანაწერს - „აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერის ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისგან“ - მოჰყვება მხოლოდ პროგრამის შედეგები და არ ჩანს მათი შეფასებითი თუ ანალიზური ნაწილი. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი აკრედიტაციის პირველის სტანდარტის სხვა კომპონენტებიც (1.3; 1.4, 1.5,) არ მოიცავს პროგრამების სიღრმისეულ ანალიზსა და განხორციელებული/განსახორციელებელი აქტივობების შეფასებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია თვითშეფასების ანგარიში წარმოადგენდეს ანალიზურ დოკუმენტს, სადაც დასაბუთებული იქნება პროგრამების კლასტერში გაერთიანების საჭიროება, მათ შორის არსებული ლოგიკური ბმა და ამასთან, კრიტიკულად იქნება შეფასებული პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, დადგენილი იქნება კვლევის შედეგებით იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების კითხვარები;
- თესაუ-ს ვებ-გვერდი www. tesau.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, ამაღლდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის დონე პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების საკითხებთან დაკავშირებით და გაიზარდოს მათი ჩართულობა აღნიშნულ პროცესებში.

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, თვითშეფასების ანგარიში წარმოადგენდეს ანალიზურ დოკუმენტს, სადაც დასაბუთებული იქნება პროგრამების კლასტერში გაერთიანების საჭიროება, მათ შორის არსებული ლოგიკური ბმა და ამასთან, კრიტიკულად იქნება შეფასებული პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, დადგენილი იქნება კვლევის შედეგებით იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეები.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული მტკიცებულებებითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ კლასტერში წარმოდგენილი ისტორიის „საბაკალავრო“ და „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამების შეფასების, განახლებისა და განვითარების მიზნით გამოიყენება გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მათ შორის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვები, საგანმანათლებლო პროგრამების გარე კოლეგიალური ექსპერტიზა, წინარე აკრედიტაციის პროცესში მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება და სხვ.

“ისტორიის” საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა დარგის ქართველი სპეციალისტების, ისტორიის დოქტორების მონაწილეობით. კერძოდ, პროგრამა, მისი მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა, სილაბუსები, სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგია შეფასდა თსუ-ს საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენლების მიერ (სულ 2 შემფასებელი).

გარე შემფასებელთა მიერ წარმოდგენილია პროგრამის ანალიზური შესწავლით შემუშავებული ერთობლივი დასკვნა, რომელის თანახმადაც პროგრამა საერთო ჯამში დადებითადაა შეფასებული. თუმცაღა, გარე შემფასებლებს გამოთქმული აქვთ მოსაზრებები

რიგი სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურის, საბაკალავრო ნაშრომის სასწავლო კურსის შინაარსის, ზოგიერთი სასწავლო კურსის შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. გარე შემფასებელთა შეხედულებების შესაბამისად, განხორციელდა ცვლილებები საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში. კერძოდ, საფეხურისა და დარგის სპეციფიკისთვის შეუსაბამო ჩანაწერები ამოღებულია. ასევე, გადაიხედა სასწავლო კურსების შეფასები მეთოდები, ისევე როგორც სასწავლო ლიტერატურა დასკვნაში მოტანილ სასწავლო კურსებთან მიმართებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია, მაგისტრატურა)

"საქათველოს ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა დარგის ქართველი სპეციალისტების, თსუ-ს საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენლების მიერ. დარგის ექსპერტების მიერ შეფასების მიზნით განხილულია პროგრამა, მასზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა, სილაბუსები, სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები და ა.შ.

გარე შემფასებელთა მიერ წარმოდგენილია პროგრამის დეტალური და სიღრმისეული შესწავლით შემუშავებული ერთობლივი დასკვნა. გარე შემფასებლების მიერ პოზიტიურ ჭრილშია ხაზგასმული სამაგისტრო პროგრამის ინდივიდუალურობა, რასაც ქმნის პროგრამის სტრუქტურა, სილაბუსები და განხორციელებისთვის საჭირო რესურსები. წარმოდგენილ დასკვნაში დეტალურადაა ახსნილი და განმარტებული პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეები. კერძოდ კი, გამოთქმულია მოსაზრებები როგორც რიგ სასწავლო კურსებში შინაარსობრივი გადაფარვის თაობაზე, ისე კლასტერული შეფასების საფუძველზე დადგენილია შინაარსობრივი გადაფარვები საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებს შორის. ამასთან, გარე შემფასებლები ყურადღებას ამახვილებენ სამაგისტრო დონის სიღრმისთვის შეუსაბამო ლიტერატურის არსებობაზე და ზოგიერთ სასწავლო კურსში სავალდებულო ლიტერატურის გადახედვის საჭიროებაზე (დეტალურად იხ. გარე შემფასებლების დასკვნა, 7 გვ.). დარგის ექსპერტთა მიერ დასკვნაში გასაუმჯობესებელ მხარეებად იდენტიფიცირებულია რიგი სასწავლო კურსების შინაარსის გადახედვის და დახვეწის, კვლევითი კომპონენტის გაძლიერების საჭიროება.

პროგრამის ხელმძღვანელების მიერ მეტ-ნაკლებად გაზიარებულია გარე შემფასებელთა შეხედულებები და შესაბამისად სამაგისტრო პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, მათ შორის, გადაიხედა დასკვნაში გამოტანილი სასწავლო კურსების სილაბუსები, გასწორდა როგორც ლიტერატურის, ისე თემატიკის დონეზე შინაარსობრივი გადაფარვების საკითხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო კურსები;
- კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- გარე შემფასებელთა დასკვნები;
- გარე და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინსტიტუციაში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება პერმანენტულად „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების მექანიზმების დოკუმენტში“ გაწერილი პუნქტების შესაბამისად. ხსენებული დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის, შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა ხორციელდება სასწავლო და საგამოცდო პროცესზე უწყვეტი დაკვირვებით, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასებით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებით, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევით, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზითა და შეფასებით, სასწავლო რესურსებისა და სერვისების მიწოდების ხარისხის მონიტორინგით და ა.შ.
სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების მონიტორინგის პროცესში პროგრამის განმახორციელებლების მიერ ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- დაიხვეწა საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები, მოხდა მათი შესაბამისობის დადგენა ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან;
- მოხდა შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებისა თუ საჭიროებების დადგენა;
- პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- განხორციელდა სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვა;
- განახლდა სასწავლო კურსების თემატიკა და სასწავლო ლიტერატურა;
- კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები შეფასდა კოლეგიალურად დარგის ადგილობრივი ექსპერტების მიერ, მოხდა პროგრამაში მათი რეკომენდაციებისა და რჩევების დიდი ნაწილის ასახვა;
- შემუშავდა პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. კერძოდ, მექანიზმები წარმოდგენილია ე.წ. რუკების სახით და მოიცავს, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა; კურიკულუმის რუკა, რომელიც დაკომპლექტდა კომპეტენციაზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსებით და თითოეული კურსისთვის განისაზღვრა სწავლის შედეგზე გამსვლელი შესაბამისი დონე;
- დადგინდა სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები;
- განხორციელდა პროგრამების დადარება ქართული უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერვიუების დროს არ დადასტურდა კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების აკადემიური გუნდის აქტიური ჩართულობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. ძირითადად აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობდა ცენტრალური და ფაკულტეტის ხარისხი, ასევე ამ პროცესში მონაწილეობას იღებდნენ პროგრამების ხელმძღვანელებიც, თუმცაღა, მიგვაჩნია შეფასების და მონიტორინგის პროცესში ხელმძღვანელები მეტად უნდა იყვნენ ჩართულები. ინტერვიუებზე წარმოდგენილ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსაც ბუნდოვანი წარმოდგენები ჰქონდათ პროგრამების მონიტორინგის პროცესებსა და მონიტორინგის შედეგებზე. მნიშვნელოვანია, შეფასებისა და მონტორინგის შედეგები გაზიარებული იქნას პროგრამების განმახორციელებლ მთლიან გუნდთან. ამასთან, მნიშვნელოვანია გაიზარდოს პროგრამების ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის დონე პროგრამების შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელების, ისევე როგორს მიღებული შედეგების გაანალიზების პროცესში.

ასევე, გასაუბრებისას არ დადასტურდა დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესში. ისინი ადასტურებენ უნივერსიტეტთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან ხანგრძლივი და თანამშრომლობითი ურთიერთობების არსებობას, თუმცაღა არ იცნობდნენ სააკრედიტაციო წარმოდგენილ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს, მათში განხორციელებულ ცვლილებებს და ა.შ. სასურველია, დარგობრივი დამსაქმებლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში.
საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესში დაწესებულების მიერ სემესტრულად და ყოველწლიურად აქტიურად გამოიყენება გამოკითხვის კითხვარები. კითხვარების შინაარსობრივმა შესწავლამ გამოკეთა გასაუმჯობესებელი მხარეები. მაგ., შინაარსობრივ მოდიფიცირებას და შესაბამისი აქტუალური თემებით გამდიდრებას საჭიროებს „კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა“ და „დამსაქმებლის გამოკითხვის ფორმა“. ორივე კითხვარი თითქმის იდენტური შინაარსის მატარებელია და არ იძლევა პროგრამის კრიტიკულად შეფასებისთვის საჭირო ფართო და ღრმა საკითხების ჩამონათვალს. მაგ., ერთ-ერთი პუნქტი - პროგრამის შინაარსობრივი მხარე - მასში მოცემულია მხოლოდ 2 შეკითხვა და ორივე შეკითხვა ატარებს მსგავს შინაარსს (ეს შეკითხვებია: 1. რომელი საგნების სწავლება არის მნიშვნელოვანი პროგრამის ფარგლებში?, 2. რომელი საგნების შესწავლას უნდა მიექცეს უფრო მეტი ყურადღება?, 3. კურსდამთავრებულთა კითხვარის შემთხვევაში ამ ჩამონათვალს ემატება შეკითხვა თუ რომელი საგნების სწავლება არის ნაკლებად ღირებული;); ასევე, პუნქტი *კომპეტენციები* ორივე კითხვარის შემთხვევაში, ვფიქრობთ, სრულად ვერ ასახავს იმ დარგობრივ ცოდნას, უნარებსა და გამჭოლ კომპეტენციებს, რომლებსაც უნდა ფლობდნენ პროგრამების კურსდამთავრებულები. ასევე, ვფიქრობთ, „პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის ფორმებს“ უნდა დაემატოს შეკითხვები, რომლებიც შეაფასებენ პროგრამების მატერიალურ რესურსებს (აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სტუდენტური სივრცეები და სხვ.), სასწავლო და კვლევით პროცესებს (მაგ., ლექციების გაცდენის სიხშირე, პრაქტიკის/სტაჟირების შესაძლებლობები და მისი განხორციელების ხარისხი, სტუდენტთა კონსულტაციები, სტუდენტთათვის უკუკავშირის მიცემის პრაქტიკა, კვლევით ნაშრომის ხელმძღვანელის როლის შეფასება და სხვ.). რეკომენდებულია, გადაიხედოს სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები და მოხდეს მათი შინაარსობრივი განახლება-მოდიფიცირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების კითხვარები;
- თესაუ-ს ვებ-გვერდი www. tesau.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, ერთი მხრივ, გაიზარდოს პროგრამების ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის დონე შეფასებისა და

მონიტორინგის განხორციელების, ისევე როგორს მიღებული შედეგების გაანალიზების პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, პროგრამების შეფასებისა და მონტორინგის შედეგები გაზიარებული იქნას პროგრამის განმახორციელებლ მთლიან გუნდთან.

რეკომენდებულია, გადაიხედოს სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები და მოხდეს მათი შინაარსობრივი განახლება-მოდიფიცირება.

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, დარგობრივი დამსაქმებლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ-თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:
ისტორია, ბაკალავრიატი;
„საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

პროგრამა სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 („საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, მაგისტრატურა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

)					

ხელმოწერები:
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა ბონდო კუპატაძე
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქეთევან დიღმელაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქრისტინე ჩიხლაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ლიანა ზაგაშვილი